მეკარტოფილეთა ბრიგადის მუშაობის შესახებ ილაპარაკა სესიის ტრიბუნიდან ლატვიის კოლმეურნეობა „ლაჩპლესისის“ მექანიზატორმა დეპუტატმა **ი. ე. სპილამ.** ამ პატარა კოლექტივის წარმატებებს საფუძვლად უდევს შრომის ზუსტი ორგანიზაცია, მიწათმოქმედების მაღალი კულტურა. ორატორი შეეხო მოსავლის დაცვა-შენახვის საკითხს. რამდენი კარტოფილი მოიტანეს მინდვრიდან — ვითვლით, ხოლო რამდენი დაკარგეს შენახვის დროს — დუმილით ვუვლით გვერდს, წუხილით თქვა მან.

ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბული დავალებების წარმატებით რეალიზაციისთვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრი გადატანილია შრომითს კოლექტივებში, აღნიშნა სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვ. ე. ოდინცოვმა.** მან ოვითკრიტიკულად ილაპარაკა იმაზე, რომ წარმოებაში ჯერ კიდევ ხშირია სახელმწიფო, საგაგმო, საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევები. ხორცელდება ღონისძიებანი ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ორატორმა განაცხადა, რომ სანედლეულო და ენერგეტიკული ბაზის განვითარებისათვის, ძძლავრი სამშენებლო ორგანიზაციების შექმნისათვის ავტონომიურ რესპუბლიკას ცენტრალური ორგანოების უფრო ქმედითი დახმარება სჭირდება.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, თქვა ყალმუხმა მასწავლებელმა დეპუტატმა **გ. ხ. შანკიევამ,** ამაყობს, რომ ჩვენი სახელმწიფო ჯიმთსანაშენე არ განიცდის ადრების ნაკლებობას. აქ მეცხოველეთა და მექანიზატორთა შორის ყოველი მეორე მისი კურსდამთავრებულია. ჯიმთსანაშენეში შექმნილია უფროსკლასელთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული დაოსტატების პირობები. მაგრამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ იმას, რომ ბავშვებს განეუვითაროთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დონის შესაბამისი აზროვნება. სერიოზულად ხომ არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ 2000 წელსაც ჩვენი კურსდამთავრებულები, ისევე როგორც მათი მამა-პაპანი, კომბლით ხელში ცხვრის ფარებს გარეკავენ ველზე.

ჩვენს განსახილველად წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმის პროექტი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ კულტურის დარგში უფიდესი მუშაობის მასშტაბი, რომელსაც სტატი მისცეს პარტიის ამასწინანდელმა გადაწყვეტილებებმა, თქვა სსრ კავშირის კომპიუტერთა კავშირის გამგეობის მდივანმა დეპუტატმა **ტ. ნ. ხრენნიკოვმა.** მაგრამ მთელი მატერიალური ხარჯები, აღნიშნა ორატორმა, ვერ მოგვცემს სათანადო ეფექტს, თუ ხელოვნების მოღვაწენი კრიტიკულად არ მოეკიდებიან საკუთარი შრომის შედეგებს, არ დაძლევენ სტერეოტიპებს, ინერციის ძალას.

„ულანუდეტრანსმშენის“ ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ხუროთა ბრიგადიერმა დეპუტატმა **ვ. ც. სანდანოვმა** დამსწრეთ აცნობა, რომ მისი ბრიგადა გადავიდა სამეფონეო ანგარიშზე, სტაბილურად ასრულებს დავალებებს. მაგრამ არის ხელშემშლელი მიზეზები, კერძოდ, იშლება საშენი მასალების მიწოდება, არ ქმარა მცირე მექანიზაციის საშუალებები. ადამიანები საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებით. შენდება ახალი საწარმოები, მუშები კი ვეკალია — ბინები არა აქვთ. როგორც პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრმა, ვიცი, თქვა დეპუტატმა, რომ ბამის ზონაშიც ასეთი მდგომარეობაა. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ბინების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია მარტოხელებისათვის — ეტყობა, ფიქრობენ, რომ ბამელები უცოლშვილოდ უნდა დაბერდნენ.

სკკპ კომის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ი. პ. მოროზოვმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ტერიტორიული და დარგობრივი დაგეგმვის სრულყოფის პრობლემებს. ხე-ტყის მრეწველობის, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დარგების მაგალითით მან ცხადყო, თუ რა დამღუპველად მოქმედებს დაგეგმვის შეუსაბამობა წარმოების საბოლოო შედეგებზე.

გამოცდილება გვიჩვენებს, თქვა კამის დიდტვირთიანი ავტომობილეთის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა დეპუტატმა **ვ. ა. ფაუსტოვმა,** რომ დანიშნულება გაამართლა სათადარიგო ნაწილების განაწილების საფირმო სისტემამ. ქარხანაში ინდუსტრიულ საფუძველზე მოგვარებული კვანძებისა და აგრეგატების კაპიტალური რემონტი უზრუნველყოფს მეტ რესურსებს, ვიდრე რემონტი ქვეყნის საავტომობილო მეურნეობებში. ამ პრობლემას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან როგორც ავტომობილების, ისე ტრაქტორების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები რამდენჯერმე აღემატება გამოშვებული ტექნიკის თავდაპირველ ღირებულებას. დეპუტატმა გამოთქვა სურვილი, რომ აკადემიურმა და დარგობრივმა ინსტიტუტებმა უფრო ყურადღებით მოკიდონ ხელი ამ პრობლემის შესწავლას და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი.

ამით ეროვნებათა საბჭომ დაამთავრა ხუთწლიანი გეგმის პროექტის განხილვა.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

ნაშუადღევს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ნ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ბ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. ა. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, მ. ვ. ზიმიანინს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკოლოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ა. ნ. იაკოვლევს, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომას თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ვოსი.

პალატების მიხედვით ცალ-ცალკე ეხეჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

კანონით დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა. რომელიც განაწილებულია ხუთწლედის წლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების მიხედვით, შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად.

დადგენილია 1986-1990 წლების გეგმის ძირითადი მაჩვენებლები, სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკვალა განსაზღვროს სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა შესრულების კონკრეტული ვადები და უზრუნველყოს მათი განხორციელება.

გათვალისწინებულია გიზარდოს შრომის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანობა. უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათს შრომითს წვლილს, ძირფესვიანად აღმოიფხვრას გათანაბრების ელემენტები, გაძლიერდეს მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა მუშაობაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის. გაუმჯობესდეს ხელფასის ოდენობის თანაფარდობა სახალხო მეურნეობის დარგების, აგრეთვე მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა სირთულისა და პირობების გათვალისწინებით. გაძლიერდეს ინკინრის შრომის პრესტიჟულობა. გაიზარდოს ოსტატების, ტექნოლოგებისა და კონსტრუქტორების როლი და ავტორიტეტი, გაძლიერდეს მათი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულები და მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

თანამმდევრულად განხორციელდეს საცალო ფასების პოლიტიკა მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის ამოცანების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიღოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

შემდეგ მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.**

ხესიამ მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენებით უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნა გ. გ. ვედერნიკოვი და ვ. კ. გუსეინი. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ი. პ. რიაბოვი.

ამით სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიიან მუშაობა დაამთავრა. (საპდსი).

ინტეგრაციის გზით

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა დიადი გარდაქმნების მიჯნაზეა, სრულიად ნათელია, რომ პირველ პლანზე იწევს კადრების მომზადების, კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის, მათი ზნეობრივ-ინტელექტუალური ფორმირებისა და დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მკაცრი გაძლიერების საკითხი, რომაც მნიშვნელოვნად უნდა განსაზღვროს უახლოეს მომავალში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის მასშტაბები და ტემპი. ყოველივე ეს კი მოითხოვს, რომ სპეციალისტთა მომზადების მთელი სისტემა და უწრნარეს ყოვლისა უმაღლესი სკოლა გახდეს ერთიანი სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ქმედითი ინსტრუმენტი, მისი აქტიური გამტარებელი. ასეთია დღეს პარტიის მოთხოვნა, რომელიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს ყველას, ვისაც მომავალი სპეციალისტების აღზრდა გვევალება.

ძირითადი, რაც წითელ ზოლად გაჰყვება პროექტს, ეს არის განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია, მათი ურთიერთობის ახალ პრინციპზე გადასვლა, უმაღლესი სასწავლებლების, წარმოებების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ურთიერთდაინტერესების გაღრმავება და გაფართოება, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება სპეციალისტების მომზადების დონის ამაღლებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამ მხრივ გარკვეული დადებითი გამოცდილება აქვს საქართველოს „საპატონ ნიშნის“ ორდენოსან ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტს, რომელიც თავისი სტრუქტურით სასწავლო-სამეცნიერო საწარმოო კომპლექსია და რესპუბლიკაში მეცხოველეობის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებასთან ერთად ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა ზოოტექნიკის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების დარგში. იგი ერთ-ერთია ჩვენი ქვეყნის იმ მცირერიცხოვან უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომლებიც სასწავლო ფაკულტეტებთან ერთად მძლავრ სამეცნიერო ნაწილს და წარმოებას მოიცავს. კერძოდ, ჩვენს ინსტიტუტშია 23 კათედრა, 29 სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება და ლაბორატორია, ქიმიურ-თერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხანა, რომელიც 2 მილიონი მანეთის საერთო ღირებულების 16 დასახელების სხვადასხვა პრეპარატს ამზადებს, სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობა, სადაც მეცხოველეობის ყველა დარგია წარმოდგენილი. გვაქვს სამი სამეცნიერო-საყრდენი პუნქტი რესპუბლიკის სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონაში, ვივარიუმები სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის, ვეტერინარული კლინიკა და სხვა. ინსტიტუტის ყველა ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში.

ამასთან ერთად მრავალდარგიანი სასწავლო მეურნეობის ფერმებში პრაქტიკული მეცადინეობა, საწარმოო პროცესებში უშუალო მონაწილეობა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების ადგილზე შესწავლა, წარმოების მართვის საკითხების გაცნობა კიდევ უფრო განამტკიცებს მომავალი სპეციალისტის ცოდნას, აძლიერებს მის კომპეტენტურობას.

უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ძირითადი ამოცანაა, ნათქვამია პროექტში, ჩამოაყალიბონ ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, ექნებათ ღრმა პროფესიული მომზადება... პარტია მიგვითითებს, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ კადრების სწავლებას მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ ახალ დარგებში, როგორიც არის გენური ინჟინერია, ბიოტექნოლოგია, აგრეთვე სამმართველო საქმიანობა. უნდა გავაძლიეროთ მომავალ სპეციალისტთა ეკოლოგიური აღზრდა, მათი ორიენტაცია რაციონალურ და კომპლექსურ ბუნებათსარგებლობაზე.

ყოველივე ეს თავისთავად მოითხოვს აბლებურად, შემოქმედებითად მივუდგეთ სასწავლო პროცესის ორგანიზაციის საკითხებს. უკანასკნელ წლებში ჩვენს ინსტიტუტში ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ. ახალი, თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური მოწყობილობებით აღიჭურვა ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიები, კლინიკა, მნიშვნელოვნად გაუჯობესდა პრობლემური ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკუმების ხარისხი, ბევრი სიახლე გაჩნდა სტუდენტთა საწარმო პრაქტიკის უფრო სრულყოფილად, მიზნობრივად წარმართვის პროცესში, რაშიც დიდად გვიწყობს ხელს ინსტიტუტის მეცნიერული კონტაქტები რესპუბლიკის რაიონებთან, მოწინავე კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსების კოლექტივებთან. სტუდენტები უშუალოდ წარმოებაში იმზადებენ და იცავენ საკურსო და სადიპლომო ნამუშევრებს, მათგან ბევრს რეკომენდაცია ეძლევა წარმოებაში დასანერგად.

მაგრამ თუ ამ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში მოცემული კრიტერიუმებით შევაფასებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ის, რასაც ახლა ვაკეთებთ, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზაზე. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ თითოეული საცდელი თუ საჩვენებელი მეურნეობა გადავაქციოთ მართლაც სანიმუშო სასწავლო-სამეცნიერო საწარმოდ, სადაც სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება განხორციელდება წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიისა და მოწინავე ორგანიზაციის უშუალო რეალიზაციის პირობებში.

ჩვენი ერთ-ერთი საშური საქმეა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, სწავლების აქტიურ ფორმებს (დისკუსიები, საწარმოო და პრაქტიკული სიტუაციების მოდელირება, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები), გავაძლიეროთ ინდივიდუალური მიდგომა მასობრივი სწავლების ხარჯზე და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაცია და კომპიუტერიზაცია.

ინსტიტუტის ზოგიერთ მაპროფილებელ კათედრაზე რამდენიმე სპეციალურ დისციპლინაში მიმდინარე წლის მეორე სემესტრში შევამცირეთ სალექციო კურსი და შესაბამისად გავადიდეთ პრაქტიკულ სამუშაოთა საათები, ზოგ საგანში შემოვიღეთ წერითი სასემესტრო გამოცდა. ამ ექსპერიმენტს მომავალშიც მივმართავთ, გავაანალიზებთ მონაცემებს, და თუ მოლოდინი ყველგან გაგვიმართლდა, მთელ ინსტიტუტში დავნერგავთ.

პროექტში სავსებით სწორად არის დაყენებული ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამაზე გადასვლის საკითხი. აუცილებლად უნდა შევამციროთ სტუდენტთა დატვირთვა საკალდებულო საუდიტორიო მეცადინეობებით. ამჟამად მოქმედი გეგმების მიხედვით, მაგალითად, ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე სწავლების მთელ პერიოდში, ფაქტობრივად, 54 საგანს ვსწავლობთ, თუმცა ტიპობრივი გეგმა 42 საგანს ითვალისწინებს (დანარჩენი საგნები სხვადასხვა დადგენილებებით ან ბრძანებებით არის დამატებული). ამავე დროს, მაგალითად, ევრინინის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ამავე სპეციალობაზე ისწავლება 28 საგანი, ხოლო სტუდენტთა კვირეული დატვირთვა 28-32 საათს არ აღემატება, დანარჩენი დრო სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაზეა გათვლილი. ეს ფაქტი, ეს ციფრები ალბათ ბევრ ეჭვს ბადებს. ეჭვი, ალბათ, ბევრ ეჭვს ბადებს ის, ასეთ ინტენსიურ სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში ასეთ ნაკლებ დატვირთვას ... [illegible] ... კითხის დამუშავების ხარიხები.

უკვე რამდენიმე წელია ინსტიტუტის კათედრებსა და სამეცნიერო ნაწილს განყოფილებებში მიმდინარე კვლევითს მუშაობაში ჩაბმული არიან სტუდენტებიც, რომლებმაც მეცნიერული კვლევის უნარი გამოავლინეს. ისინი გამოცდილი მეცნიერ-ექსპერიმენტატორების ხელმძღვანელობით შრომობენ ბევრი აქტუალური თემის დასამუშავებლად, პრაქტიკულად მონაწილეობენ ამ გამოკვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვის ღონისძიებებში. პროექტით განსაზღვრული ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაფართოოთ მუშაობა ამ მიმართულებით, გავზარდოთ ისეთი სტუდენტების რაოდენობა, გადავიყვანოთ ისინი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მათ შორის სწავლების გახანგრძლივებული ადეთ ან მოწინავე საწარმოებში ერთწლიანი სტაჟირების სახით.

უაღრესად დროულია პროექტში დაყენებული საკითხი სამი წლის მუშაობის შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტის ატესტაციის. შესახებ. ამასთან ერთად, ჩემი აზრით, კარგი იქნება ატესტაციის დროს შევისწავლოთ, როგორ გარემოს უქმნის წარმოება სპეციალისტს, როგორია, კერძოდ, მისი საყოფაცხოვრებო პირობები და, საჭიროების შემთხვევაში, ყველაფერი ვიღონოთ ამ პირობების გასაუმჯობესებლად.

უკვე მესამე წელია რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, ჩვენი ინსტიტუტის ძირითად კონტინგენტს მხოლოდ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები ავსებენ. მათ შორის ბევრია უშუალოდ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ მოვლინებული ახალგაზრდა. როცა ახალ მოთხოვნებს ვითვალისწინებთ, აშკარა ხდება, რომ მომავალშიც კურსი სწორედ ასეთ, სათანადო ცოდნით აღჭურვილი, საწარმოო გამოცდილებისა და მიზნობრივი მომზადებისათვის წარმოებიდან მოვლინებულ აბიტურიენტებზე უნდა ავიღოთ. ასეთი კონტინგენტის შერჩევას, უმაღლესი სასწავლებლის მიერ „თავისი სტუდენტის“ პოვნას გეგმაზომიერი და ფართო მასშტაბის პროფორიენტაციული მუშაობა უნდა. ცხადია, საკითხის წარმატებით გადაჭრა წარმოების მხრივაც სათანადო დაინტერესებას, ასეთი ახალგაზრდების შერჩევაში მის აქტიურ პოზიციასაც მოითხოვს.

ახლა ინსტიტუტში უკვე მუშავდება გეგმები ახალი სასწავლო წლისათვის. ისინი მოიცავენ პროექტში მოცემულ ყველა ასპექტს. შემუშავდება პროფესიული, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის კომპლექსური ღონისძიებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის გაუმჯობესებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკვანძო საკითხების, საზოგადოების განვითარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრაქტიკული ამოცანების ფართო გაშუქებას, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობების, სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობისათვის საათების გაზრდას.

უეჭველია, რომ პროექტის საყოველთაო-საჯარო განხილვა ხელს შეუწყობს მის სრულყოფას, უმაღლესი სკოლის წინაშე მდგარი პროპაგანდის გადაწყვეტის ოპტიმალური გზების მონახვას, განათლების, მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ინტეგრაციას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბების პროცესის განმტკიცებას.

ბ. აგლაძე,
საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი.

განავითარეთ სსრ ცენტრალური კომიტეტის მრეველოვანი ... ინიციატივა

კინო

მერცხლები სამხრეთიდან მოფრინავენ

„თუ ჩვენი ქვეყნის ფილმების საშუალო დონეზე „ქართული ფილმის“ სტუდიის დონეს მიაღწევ, ეკითხეს რაღას ინატრებს კაცი?“.

აფორიზმივით ლაზათიანი, საგაგმო დავალებასავით მკაფიო ფრაზაა. ამას წინათ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა მეხუთე ყრილობის ტრიბუნიდან ნათქვამ ამ სიტყვებს ტაშით შეხვდნენ.

ვუსაუბრები ლენინგრადელ რეჟისორს, დარბაისელ, პრინციპულ კაცს, რომელიც ბევრისთვის უკომპრომისობის ნიშანშია. ვუსმენ: „სოციალური შეკვეთა სხვადასხვაგვარად ესმით, ზოგთათვის ეს საზოგადოებრივი მოლოდინია, სხვებისთვის — უფროსების დავალება. სოციალური შეკვეთა, თანამემამულეთა უწმინდესი დავალება შეასრულა ოთარ იოსელიანმა. „გიორგობისთვეში“ და „იყო შაშვი მგალობელშიც“ მან ბევრ კარგად და ზუსტად გაიცინო ჩვენთვის საქართველო, არაფერი შეუფალმაზებია და არც ეგზოტიკობანა უთამაშია; და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიღონონობით ადამიანმა იგრძნო, როგორია მისი სამშობლო“. სამშობლო, ანუ ადამიანები. სამშობლო ხალხის სულია. ამის ძალი მხოლოდ ამაღლებულ ხელოვნებას შესწევს.

სხვაგვარი პასუხი არ არსებობს. როცა რაღაცას „ნამდვილ ქართულ ფილმს“ ვუწოდებთ, მხედველობაში გვაქვს წკრიალა, ლირიკული, აღსარების ნოტა, თანაგრძნობით გამსჭვალული ფსიქოლოგიური გამჭრიახობა, დიდი სერიოზულობა, რომლითაც განხილეს ცხოვრების უმთავრესი საკითხები, და, რა თქმა უნდა, უცილობლად — ავტორისეული ეშმაკობაც, როცა ორს წერს, სამს კი ინახავს. აქ ცეცხლივით უფრთხიან მუშტრულ ნაჩქარევ მაანგებლობასა და მენტორულ ფარისევლობას. როცა ამას წინათ ალმა-ათის საკავშირო ფესტივალზე ვნახეთ ფილმი, რომელშიც ქალაღლის ბრტყელი ფიგურები უაზროდ გაკაკიოდნენ საგაზეთო მეთაური წერილის ფრაზებს, მაყურებელმა ვერ ირწმუნა კავკასიური კოლორიტი: „ქართული ფილმს დაგვპირდნენ. რაღაც შეეშალათო“

ვინ იცის, იქნებ ამის მიზეზია მუდმივი სიახლოვე ბუნებასთან მისი დრამატული გადასვლებით ქვთქმა მწვერვალებიდან შკუნარე ველებზე, როგორც მარადიულობის ცივი ამსოლუტებიდან ცხოვრების სწრაფად წარმავალ სიხარულზე ან, იქნებ, ისტორიამ აქ ადამიანური მასალა სკგანგები საფუძერით, შეუპოვრობის გენების რეზერვი მოზილა, ანდა უბრალოდ, ეკრანის პოეტები უკვე იმ მოსავლის იმკიან, მამა-პაპებმა რომ დათესეს, იქნებ ამის წყარო მრავალმხივნი სიმღერების, ცეცხლოვანი ცეკვის, მარად უბერებელი ფოლკლორის ტრადიციები?... ოღონდ ფაქტია: თბილისში ნიჭიერი და, რაც მთავარია, თავისებური რეჟისორების რიცხვი ბევრად აღემატება საშუალო ნორმას. სულიკო ჟღენტისა და რევაზ ჩხეიძის ფილმმა „შმობლიერო ჩემო მიწავ“ ლენინგრი პრემია მიიღო, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა ელდარ შენგელაიამ „ცისფერი მთებისათვის“. ძალზე განსხვავებული ფილმებია, მაგრამ თითქოს ერთმანეთსაც გულისხმობენ. პირველს ახასიათებს ეპოსის, თანამედროვეობის შესახებ ლირიკულ-დრამატული პოეზის მასშტაბი, ალსავსეა აქტუალური, თითქმის პუბლიცისტური პრობლემური მასალით და ყველა საკითხს სულიერი მომკითხველობის, სინდისის, დიდი ზნეობრივი თავგანწირვის საერთო-სახალხო ორიენტირებით წყვეტს. მეორე ეშმაკური ფარსია მრავალთათვის ჩვეულ ცხოვრებაზე, როცა ლიტონი სიტყვები, უმაქნისი ჟესტები, ფუჭი აზრები ასევე ფუჭ ცხოვრებაში გადაიზრდება ხოლმე.

ახლა ჩვენ წინაშეა ტაფდის ახალი ნამუშევარი. ეკრანზე კვლავ ჩვენი თანამედროვენი არიან, რომლებიც ისევ სასაცილოდ წარმოგვიდგებიან კოლექტიურ პორტრეტად, ოღონდ „კოლექტივი“ საგანგებოდ შემთხვევითია, გაუთვალისწინებელი: ესენი გახლავან იმ ავტობუსის მგზავრები, გრაფიკიდან რომ ამოვარდა ახალწლისწინა ღამეს.

ფილმის სახელია „ნეილონის ნაძვისხე“. ეს პატარა, უფრო ლურჯი, ვიდრე მწვანე ნაძვისხე ორ-სამჯერ გაიელვებს კადრში როგორც სუროგატის, სიყალბის სიმბოლო. ფილმი ააშკარავებს ნეილონის გრძნობებს, ნეილონის კლიშე-ბრებს, ნეილონის სტანდარტულ ქცევას. რეზო ესიძე, ამ ფილმის დამდგმელი და ერთ-ერთი სცენარისტი, თითქოს დაგვცინის, წამდაუწუმ გვაქცევს ჩიზში და აშკარა მოლოდინსაც გვიცრუებს ხოლმე. შემაძრწუნებელი ხმა გავარდება, უღელტეხილზე ავაზაკები თარეშობენო, მაგრამ ის ორნი, რომლებიც ყველზე მეტ ეშეს იწვევენ, გადაცმული მილიციელები აღმოჩნდებიან. სიგარეტგაჩრილი ამაყი მეამბოხე, რომელიც წინააღეგდება ავტობუსის საზოგადოებრიობას, თურმე, უწყინარი ბატკანი ყოფილი, რომელიც უჩუმრად გაუჩინარდება უკუნეთ ღამეში, მოფერი კი, ეს ხორცშესხმული თოვლის პაპა, სრულიად უიმეზეზოდ საყოველთაო სიძულვილს გამოიწვევს. გამწარებული აპაჩინებს პაწია ავტომობილი, რომლის სარკმლიდანაც თავი გამოუყვია ორლულიან თოფს. ნუ გეშინიათ, ეს შეძლებულ მშობლებს უკან მოჰყავთ ქალიშვილი, ვიღაც „გაღლეტილთან“ ერთად რომ გაპარულა. თავად „გაღლეტილი“ კი მუჭლუგუნებს იგერიებს და გააფთრებული გაკკივის: „ერთი წელი მაღროვეთ! მარტო ერთი წელი, და თქვენზე მდიდარი ვიქნებიო!“. ესეც შენი რომეო...

სკრუპულოზური ცხოვრებისეული სიზუსტე და უსაზღვრო გროტესკი, ლირიკა და სატირა მომხიბლავ, ღღემდე არნახულ სტილისტურ ფიგურებად გადაბლართული. მუქთახორებისა და სპეკულანტების, ჩინმოთნეებისა და მლიქვნელების, „გოიმებისა“ და „ბლატიანების“ გამათრახება ნანახის მხოლოდ ზედა, სულ ზედა შრეა. ფლობერი ოდესღაც გატაცებით აგროვებდა „გაბეზეთილ ეშმარიტებათა ლექსიკონს“ — ფილმიც ასევე მგზნებარედ წარმოგვიდგენს დღევანდელი შინაურული მითების, დიდი ქალაქების თანამედროვე პრიმიტიული ფოლკლორის ოიჩვენებოთს ღრმა აზროვნებას. მაგრამ ჩუფიქრდები და ტკივილს იგრძნობ, სიმწარის ოფლი დაგასხამს, როგორც პაუზა შეხმატკბილებული სიმღერის ფინალში; და ეს ტკივილი თითქოს ყოველ ჩვენგანს ეკითხება: ჯერ დამიგდე შენც ასეთი ხომ არა ხარ?

შვიდი წლის წინათ დებიუტანტმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა ქალაქ მანჰაიმში ახალგაზრდების ფესტივალზე, ერთბაშად ოთხი პრიზი მიიღო თავისი „XIX საუკუნის ქართული

შთამომავლობა

დიდი სამამულო ომის დაწყების 45 წლისთავის ზამო

ივნაირი გაზაფხული დადგა, ზღაპარში ეგონებოდა კაცს თავი. ვარდისფრად აფეთქდა ატმის ყვავილები, მწვანე ხავერდში გამოეწყო მინდორ-ველი, ხაშურის რაიონის ვაყის კოლმეურნეობაში ხეხილის ბაღების პირველი ფარობების გაშენებას ეპირებოდნენ და ადრიანად დაიპირეს თადარიგი — იხვნებოდა ფარობები. ოთხი ტრაქტორი ჰქონდათ ვაყელებს მაშინ, ოთხივე მინდვრად გასულიყო. მოსიაშვილები უსხდნენ საჭეს — პირველი ტრაქტორისტი ძმები არშაკ და შალვა, მათი ბიძაშვილები შალვა და კონსტანტინე.

მინდვრის ბოლოში ვიღაც დალანდეს, ბინდისფერი გაკვროდა ჰორიზონტს და ტრაქტორისტებმა ვერ გაარჩიეს, ვინ უახლოვდებოდა მათ, ქლოშინით მოირბინა სოფლიდან შეზობლის ბიჭმა — ომი დაიწყო, აგრე დამაბარესო...

საათ მიდიხარ, ჩემი სოფლის გზაო, ან ეს რკინის რელსები საით მიაქროლებენ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს?..

უკრაინოსა და ბელორუსიის მიწას უკვე თელავდნენ ფაშისტური ჩექმები, ტერი სამხრეთისაკენ ლამობდა გაჭრას. როსტოვთან ბრძოლებში ჩაება პირველად არშაკ მოსიაშვილი და მას შემდეგ მის ჯარისკაცურ ფარაჯას ხან აწვიმდა, ხან ათოვდა, ტყვიისა და ყუმბარების წვიმა იყო. სანგარი, ჰოსპიტალი, ისევ სანგარი, შეტევაზე გადასული ათასეული, მხარში ჯოჯოხეთური ტკივილი და დიდხანს ტყისპირა თხრილში უგონოდ წოლა...

საღამო ხანს ამ ტყეში გერმანელი მეავტომატეები შემოვიდნენ...

ჯოჯოხეთია მოსაგონებლად, იტყვის ათეული წლების შემდეგ არშაკ მოსიაშვილი. ახლა კი გაუნძრევლად წევს თხრილში. აქეთ-იქით გერმანული ლაპარაკი ესმის, ცალკერძ ტკივილი, ცალკერძ ომის გაფიქრება, რომ... გონება ებინდება ჯარისკაცს და როცა მოსულიერდება, თავზე გერმანელი ეფრეიტორი ადგას.

რომ ეთქვათ — ინატრეო, ომას, რაც მერე გადაგხდა, უკეთესს რას ინატრებდი, მოსიაშვილო! გერმანელების ის მანქანა დაგიბომბა ვარსკვლავიანმა თვითმფრინავმა, რომლითაც მიჰყავდით, ბედმა ინება შენი გადარჩენა. რის ვიცვალწახი გამოხოხი გადაბრუნებული მანქანის ძარიდან, ფლატეებს ამოაღწიე, მოკლული ძმოლის ავტომატი წამიღე და ისევ იმ ტყეში შეცოცდი, საიდანაც წამოგიყვანეს.

დაგიფარა ბედის ვარსკვლავმა, ვიდრე ჩვენი პარტიზანების მიწურს მიაღწევდი, მერე კი აღარაფერი გახსოვს. გონზე კი რომ მოხვედი, რუსმა გოგონამ, სანიტარმა თუ მოწყალების დამ გაგიცინა და ჩაკითხა: რატომ ხმარობთ ასე ხშირად „გეხაცვალეს“ ქართველებიო...

45-ის იმ დაუვიწყარ გაზაფხულს ჩამოჰყვა მობლიერი სოფელში, ცოლ-შვილი გულში ჩაიხუტა, ჯარისკაცული ფარაჯა ლურსმანზე ჩამოკიდა, ტოლ-ამხანაგებში გავიდა. კანტიკუნტად ბრუნდებოდნენ შინ ომში წასულები. მძიმე წლები გადაეტანა სოფელსაც.

თავისი ტრაქტორი მოიკითხა მექანიზატორმა. ცოტა ხანს მემინდერეთა ბრიგადაში იმუშავა, მერე კოლმეურნეობამ ახალი ტრაქტორი რომ მიიღო, მოსიაშვილს გადასცეს.

ტრაქტორის მართვა იოლი საქმე არ გეგონოთ. აგერ ბიჭიკო მოსიაშვილმა, არშაკის უფროსმა ბიჭმა ჯერ რვა კლასი, მერე სურამის პროფტექნიკური სასწავლებელიც დაამთავრა და მამამისს თანაშემწედ დანიშნეს. 1948 წელს, როცა ბიჭიკოს პირველი დამოუკიდებელი ხნული გაევლება მიანდეს, სიხარულს ვერ მალავდა მამამისი, პირველი კვალი მარტო მიწაზე გაელებული კი არა, კაცური, სამუსიანი ცხოვრების კვალი იყო. გულით შეიყვარა სოფელმა მშრომელ ოჯახში გაზრდილი ბიჭი და მერე, რაც ვაყის კოლმეურნეობა „ზემო ქართლს“ შეუერთდა, ბიჭიკო ამ კოლმეურნეობის ვაყის უბნის ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირად აირჩიეს. მამამ შვილი მექანიზატორად გაზარდა, შვილმა კიდევ — თავისი შვილი. სულ ახლახან გელა ბიჭიკოს ძე მოსიაშვილმა მამის ბრიგადაში მექანიზატორად დაიწყო მუშაობა და საწარმოო დავალებებს, როგორც ეს მოსიაშვილებს სჩვეოდათ, დიდი გადაჯარბებით ასრულებს.

...„ზემო ქართლიდან“ დამირეკეს — ამაგდარ კაცს პენსიაზე ვაცილებთ და კარგი იქნება თუ ამოხვალთო.

როცა მივედი, კანტრის წინ შეჯაუფებული ხალხი გზას გასცქეროდა.

— პაპა არშაკს ველოდებით, — მომესალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო მჭედლიძე.

მოსახვევში „ბელარუსი“ გამოჩნდა, აღმართში ამოდიოდა, შემდეგ სვლის უკლო, კანტრის წინ გაიჯაკა და გაჩერდა, მოვლილი და გაპრიალებული იყო. ხელი შეაშველეს და კაბინიდან თავმომწონე მხედარივით გადმოხტა არშაკ მოსიაშვილი— იმ დღეს 80 წელი შეუსრულდა. გულითადად მიულოცეს დაბადების დღე კოლმეურნეობის თავკაცებმა, მეზობლებმა, თანამოსაქმეებმა.

— თუკი ოთხმოცი წელი შემისრულდა, გამოდის, რომ ორმოცდაათი წელია, რაც ტრაქტორზე ვზიავარ, — თავისთვის ანგარიმობდა ბერიკაცი.

— სწორედ რომ მაგდენია, პაპა, თანაც ამ ხნის მანძილზე 40 ათასი ჰექტარი ფართობი გაქვს დამუშავებული, ოღონდ რბილ ხვნაზე გადაყვანით, — არაფერი დაუკარგეს კოლმეურნეობის აღრიცხვის სამსახურის მუშაკებმა.

— ეჰეე, — გაიოცა პაპა არშაკმა, — მაშ კიდევაც მეკუთვნის დასაენებლა... ახლა კი სახლში წავიდეთ, რახან დაბადების დღეს ვზეიმობთ, ჩემთან ვივახშმოთ ყველამ ერთად.

...ტოლ-მეგობრები მიჰყვებოდნენ გვერდით შინ მიმავალ არშაკ მოსიაშვილს, შემდეგ — შვილები, სიძე-რძლები და შვილიშვილები, სულ ბოლოს მისეული „ბედაური“ მოდიოდა მსუბუქი რწევით, საჭეს გელა მოსიაშვილი მართავდა, პაპას იმედი და სოფლის საჩინო ახალგაზრდა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ტყიბული. (საკ. კორ.). სულ უფრო მტკიცდება ქაური ინტერნაციონალური კლუბის წევრობისა და იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა მეგობრობა, რომელსაც ქალაქის საბრძოლო დიდების მუზეუმში ჩაეყარა საფუძველი. აქ წარმოდგენილი ექსპონატები გვაცნობს ქართველ მეომართა მიერ ფაშისტების წინააღმდეგ იტალიის მთებში გადახდილ გმირულ ბრძოლებს.

ამ მუზეუმის დაარსების ინიციატორი, გარიბალდელი პარტიზანი გივი მიქიაშვილი თითქმის ყოველწლიურად ხვდება საქართველოში სტუმრად ჩამოსულ იტალიელ თანამებრძოლებს, მამოუწერია აქვს უცხოელ ანტიფაშისტებთან. იგი ამასთანავე თანამშრომლობს იტალიელ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის ნოვარის პროვინციის გაზეთ „რეზისტენცა უნიტას“ რედაქციასთან, [illegible] ერთ-ერთ [illegible] ეროვნულმა ბრიგადა ჯანი დეკეროიმ, რომელმაც ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ორიეე თვალი დაკარგა, აგრეთვე აგოსტინო ბარბალიომ, ბრუნო ვარინინმა და სხვებმა შარშან საქართველოში ჩამოტანეს უნიკალური ფოტოსურათები, წიგნები და ქართველების ძმათა სასაფლაოდან აღებული მიწა.

დიდად საამაყოა, რომ იტალიელ პარტიზანთა მხარდამხარ იბრძოდნენ ისეთი ცნობილი გმირები, როგორიც იყვნენ თევდორე პოლეტაევი, ფორე მოსულიშვილი, გიორგი ვარაზაშვილი და სხვები, რომლებმაც იტალიის მთავრობის უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს. ქართველ ახალგაზრდა თაობას სურს განაგრძოს ძმური მეგობრობა, რომელსაც სათავე დაუდო იტალიელთა და ქართველთა ერთად დაღვრილმა სისხლმა“.

იტალიური გაზეთის ეს ნომერი ამიერიდან ტყიბულის საბრძოლო დიდების მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატია.

L'AMICIZIA ITALIA-URSS

Ricevuto da Tbilisi

Secondo la tradizione, anche quest'anno è giunto in Georgia (URSS) un gruppo di 129 italiani, composto di partecipanti al movimento partigiano e antifascista della Gino Manconi, Vincenzo Giulai, Agostino Barbagisi, Wanda Canna, Vittorio Blandino e altri, con i quali lo sono in corrispondenza. Per mezzo delle fotografie, essi conoscono non solo ogni angolo del museo della nostra città, è un instancabile propagandista dei successi ottenuti dai partigiani italiani e georgiani e della loro attività energica. Egli ha pubblicato più di una volta sulle pagine della stampa locale degli articoli sia sul museo della Gloria di Tkibuli, sia sugli ex partigiani-garibaldini, sull'incontro di Tbilisi con gli ex partigiani italiani, sulla amicizia fra i bambini italiani e georgiani. Ghiel Ghirbadze ha scritto una recensione al libro di Boris Surgania «I Georgiani sulla montagne italiane», è stato anche l'autore di una trasmissione televisiva sul nostro museo della Gloria, e nel 1984 ha partecipato all'incontro con i partigiani italiani, inviato articoli e in corrispondenza con il mio amico Agostino Barbagisi. Al museo, Ghiegadze tiene conferenze sul tema della guerra, realizza iniziative di massa, si dedica alla formazione dei giovani giornalisti. Il suo scopo, anche per l'avvenire, sarà quello di fare il proprio contributo all'approfondimento dell'amicizia tra i popoli italiano e georgiano, e quindi di favorire il rafforzamento della pace tra i popoli dei nostri paesi, quella pace oggi tanto necessaria perché la vita delle generazioni future possa essere serena e felice.

Ghiel Mikheiladze
ex partigiano garibaldino
che combattè in Italia

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲘ

ᲕᲔᲩᲠᲝᲕᲘᲡᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

„წითელი ყაჭაჩოები“ მეგობრებს ელიან

კარდენახის საშუალო სკოლის ინტერკლუბის „წითელი ყაყაჩოების“ მორიგ სხდომაზე მოსწავლეებმა დირექციას სთხოვეს, ნება დაერთო მოეწვიათ სტუმრად მათი ძველი მეგობრები — უკრაინელი მოსწავლეები.

პარტიის ჩერნობილის რაიკომში მოსაწვევი დეპეშა გაგზავნეს და მოსწავლეები მაშინვე შეუდგნენ სამზადისს: უწინარეს ყოვლისა იმაზე იმსჯელეს, სად დაბინავებინათ სტუმრები, შემდეგ კი დაიწყეს მათთვის საინტერესო, შინაარსიანი პროგრამის შედგენა, რომელიც შეიცავს ექსკურსიებსა და კონცერტებს, ლაშქრობებსა და სპორტულ ასპარეზობებს.

— ჩვენი მეგობრობა დაიწყო წერილით, რომელიც ათი წლის წინათ მივიღეთ ჩერნობილის რაიონის სოფელ ოპოჩჩის მოსწავლეებისაგან, — თქვა სკოლის დირექტორის მოადგილემ აპოლონ ილაშვილმა. — ისინი გვატყობინებდნენ, რომ მათს სოფელში საძმო საფლავზე დაკრძალულია ჩვენი თანასოფელი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ბეროშვილი. ბავშვებმა მიმოწერა დაიწყეს, ერთმანეთს უგზავნიდნენ ფოტოსურათებს, შემდეგ კი 20 კარდენახელი მოსწავლე ოპოჩჩიში გაემგზავრა.

— მთელი სოფელი შეგვეგება, — იხსენებს ინტერკლუბის ხელმძღვანელი მერი ხოსიტაშვილი, — ჩვენთვის მოაწყვეს ექსკურსიები, კონცერტები. ჩვენი თანამემამულის საფლავზე კარდენახელმა ბავშვებმა ქართული მიწა მოაბნიეს და ვაზი დარგეს. 1980 წელს გურჯაანის რაიონის მოსწავლეები კიდევ ერთხელ ეწვივნენ უკრაინელ მეგობრებს. ამჯერად ისინი გამარჯვების დღესასწაულზე მიიწვიეს დაბა პრიპიატში. გულთბილი შეხვედრა მოეწყვეს კახეთიდან ჩამოსულ სტუმრებს“ სამხედრო-პატრიოტული გაერთიანება „წითელი მიხაკების“ წევრებმა. ამ გაერთიანებას ომის ვეტერანი ეკატერინე ტიტოვა ხელმძღვანელობს.

მეგობრობა მტკიცდებოდა, გრძელდებოდა მომოწერაც და 1983 წელს კარდენახის საშუალო სკოლაში მოეწყო ფესტივალი დეკემბრი „მეგობრობა დედამიწაზე მშვიდობაა!“, საპატიო სტუმრად შორის უკრაინელი მოსწავლეებიც იყვნენ.

შარშან უკრაინელმა მეგობრებმა კვლავ მიიწვიეს კარდენახელები, ამჯერად ვ. ბეროშვილის მემორიალის გახსნაზე.

— უკრაინიდან უამრავ წერილს, ალბომს, სუვენირს ვიღებთ, — თქვა ცირა ჩალათაშვილმა.

— ჩვენი ინტერკლუბი უკვე ათი წლისაა, — განაცხადა სკოლის დირექტორმა მიხეილ თადაშვილმა, — ის ბავშვები, რომლებმაც პირველი ფურცლები ჩაწერეს მის ისტორიაში, უკვე აღარ არიან სკოლაში, მაგრამ მათთან კავშირი არ გაგიწყვეტია. დღეს კლუბის პირველი პრეზიდენტი ბესიკ შაქიაშვილი ინტერნაციონალურ ვალს იხდის ავღანეთში.

ფართოვდება მეგობრობის ბიოგრაფია, ინტერკლუბის ჟურნალში ახალი სახელები, ახალი მისამართები ჩნდება, ახლა კი ძველ მეგობრებს კარდენახში განსაკუთრებით ელიან.

(საქინფორმი).

კვლავ ვეტოს მიმართეს

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ბოლო თვეში მეორედ ჩაფუშეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ იმ რეზოლუციის მიღება, რომელიც გმობს ანგოლის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესიას.

ანგოლის მთავრობის მტკიცებით, ოთხოვნით მოწვეული საბჭოს წევრთა დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა მიიღონ საყალდებულო ეკონომიკური სანქციები, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის სისტემის წინააღმდეგ და მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად ბრძოლის საშუალებაა. მაგრამ ამერიკის და ინგლისის დელეგაციების მიერ ვეტოს გამოყენებამ ხელი შეუშალა მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის მიღებას. ამით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის იმპერიალისტმა მოკავშირეებმა კვლავ ცხადყვეს საერთაშორისო გაერთიანების ნების აღმაშფოთებელი უგულებელყოფა.

პანონპროექტი პრესის თაობაზე

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ პირველი წაკითხვით მოიწონა კანონპროექტი პრესის ორგანოების იურიდიული სტატუსის რეფორმის თაობაზე.

ეს დოკუმენტი ითვალისწინებს კანონმდებლობის ძირითად დებულებათა გადასინჯვას, რომლებიც ზღუდავენ უდიდესი საგაზეთო ტრესტების საქმიანობას. კერძოდ, გათვალისწინებულია გაუქმდეს 1944 წელს, საფრანგეთის განთავისუფლებისთანავე მიღებული ბრძანებულება, რომელიც კრძალავს ერთ ხელში რამდენიმე პერიოდული გამოცემის თავმოყრას. ამავე დროს ახალი კანონპროექტის შესაბამისად გაუქმდება 1984 წელს პარლამენტის მიერ მოწონებული კანონიც, რომლის მიზანი იყო ბოლო მოეგებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციის პროცესს.

სამთავრობო განცხადება

ვენა. ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ფრანც ვრანიცკიმ ავსტრიის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) საგანგებო სხდომაზე გააკეთა სამთავრობო განცხადება, რომელშიც შეეხო მის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც განსაზღვრულია მისი მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსითა და დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებით, კვლავაც თანმიმდევრულად განვახორციელებთ, აღნიშნა ფ. ვრანიცკიმ. მან საგანგებოდ გამოჰყო ქვეყნის საგარეოპოლიტიკის ევროპული ასპექტები და ხაზი გაუსვა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრამ ვენაში დასაბამი უნდა მისცეს ევროპის კონტინენტზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ახალ ფაზას. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში განმსაზღვრელი როლის შემსრულებელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლობისა და გულახდილი დიალოგის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება ავსტრიის საგარეო-პოლიტიკური კურსია და უპირველეს ამოცანად რჩება, ხაზგასმით აღნიშნა კანცლერმა.

თავის გამოსვლაში ფედერალური კანცლერი შეეხო აგრეთვე ქვეყნის მთელ რიგ საშინაო პოლიტიკურ პრობლემებს, ამასთან ჩამოაყალიბა თავისი მთავრობის სოციალური, ეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

● **ვარშავა.** „კულტურა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის დარგი“ — ამ დევიზით გაიხსნა ვარშავაში სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მკვლევარები. იგი მიეძღვნა ორი ქვეყნის კულტურული თანამშრომლობის შესახებ პირველი ხელშეკრულების დადების ოცდაათი წლისთავს, რომელიც ახლოვდება.

● **რომი.** პოლიციასთან შეტაკებები გამოიწვია რომის „სან ჯოვანნის“ საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის გაფიცვამ, რომელიც რამდენიმე დღეა გრძელდება. წესრიგის დამცველებმა გაფიცულთა წინააღმდეგობის ჩასახშობად ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. მანიფესტანტები ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ ხელფასის გადიდებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

● **ბონი.** მაინის ფრანკფურტში გაიმართა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია ტერორისა და რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც სამხრეთაფრიკელი რასისტები მიმართავენ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს გაუქმონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საგანგებო წესები, გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი.

განხილვა დამთავრდა

მანაგუა. ნიკარაგუაში დამთავრდა ახალი კონსტიტუციის — რესპუბლიკის პირველი ნამდვილად დემოკრატიული ძირითადი კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვა.

თვეზე მეტი ხნის მანძილზე პროექტი განიხილა ასიათასობით მუშამ, გლეხმა, სტუდენტმა, სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლმა, ინტელიგენციის, რელიგიური წრეების წარმომადგენელმა. მათგან 60 ათასმა კონკრეტული წინადადება წამოაყენა დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ნიკარაგუის ეროვნულმა ასამბლეამ შეიმუშავა. ეს წინადადებები ძირითადად ეხება იმას, რომ ახალ კონსტიტუციაში აისახოს სანდინისტური რევოლუციის ანტიიმპერიალისტური, სახალხო ხასიათი, განმტკიცდეს მისი ძირითადი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მონაპოვრები.

ადმინისტრაცია იმედოვნებს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ოთხშაბათს ხმა მისცა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური სანქციების შემოღებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტს მიიღებს სენატი და ხელს მოაწერს პრეზიდენტი, ამერიკის ყველა კომპანიამ 90 დღის ვადაში უნდა შეწყვიტოს ოპერაციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და შემოღებული იქნება ემბარგო პრეტორიასთან ვაჭრობაზე.

მაგრამ ვაშინგტონის ადმინისტრაციას აშკარად არ სურს ხელი აიღოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკაზე. როგორც ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის, ადმირალ პოინდექსტერის წერილშია ნათქვამი, რომელიც წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელთა უმცირესობის ლიდერს მაიკლს გაუგზავნა, „დღნისტრაცია მტკიცედ ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ საკანონმდებლო გზით შემოიღონ დამსჯელი ეკონომიკური სანქციები სამხრეთ აფრიკის მიმართ“.

ვაშინგტონი. თეთრი სახლის პოზიცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღების საკითხში „ოდნავადაც არ შეცვლილა“. ეს კვლავ განაცხადა პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა სპიქსმა. მან გასაგებად თქვა, რომ ადმინისტრაცია იმედოვნებს, ამერიკის კონგრესის სენატი, სადაც უმრავლესობა რესპუბლიკელებს ეკუთვნით, არსს გამოაცლის წარმომადგენელთა პალატის მიერ მოწონებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ სანქციებს პრეტორიის რეჟიმის წინააღმდეგ.

ფინანსურ კაბალაში

ტოკიო. მიმდინარე წლის აპრილის დამლევისათვის 46,8 მილიარდ დოლარს გადააჭარბა სამხრეთ კორეის საგარეო დავალიანებამ. სამხრეთ კორეის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ამ უზარმაზარი თანხის 20 პროცენტზე მეტი კრედიტორებს წლის მანძილზე უნდა გადაუხადონ.

სამხრეთ კორეა ამერიკის შეერთებული შტატებს, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის ბანკების ფინანსურ კაბალაში აღმოჩნდა უწინარეს ყოვლისა სამხედრო ხარჯების სწრაფი ზრდის გამო, როგორც 1986 საფინანსო წელს კიდევ 12,6 პროცენტით გაიზარდა.

● **გფრ**

ესესელი ჯალათის მფარველობის წინააღმდეგ მძლავრმა საპროტესტო მოძრაობამ როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ დასავლეთგერმანული თემიდა აიძულა მისთვის გამოეტანა განაჩენი. კრეფელდის სამხედრო სასამართლომ ესესის ყოფილ ობერშარფიურერს, ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში გერმანელ კომუნისტთა ბელადის ერნსტ ტელმანის მხეცური მოკვლის თანამონაწილეს ვ. ოტოს ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯა. აქვე გამოცხადა მიტინგი, რომელშიც ათასზე მეტი ანტიფაშისტი და „სიკვდილის ბანაკების“ ყოფილი ტყვე მონაწილეობდა. ისინი ამ ჭალაჯში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა კუთხიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ.

სურათზე: მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს უჭირავს პლაკატი, რომელზეც წარწერილია: „ბუზენვალდის ფიცი: ჩვენ მხოლოდ მაშინ შევწყვეტთ ბრძოლას, როცა უკანასკნელი დამნაშავე წარდგება ხალხის სამსჯავროს წინაშე!“.

მეოთხედფინალური ბრძოლა ორიეე თვალი დაკარგა

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური ეტაპი დამთავრდა. ამ ეტაპის ბოლო ორ მატჩში ასეთი შედეგები აღინიშნა:

მატჩი № 43. 18. VI. მეხიკო. ინგლისი-პარაგვაი — 3:0 (1:0).

№ 44. 18. VI. კერეტარო. ესპანეთი-დანია — 5:1 (1:1).

ამრიგად, მეოთხედფინალში ითამაშებენ: ბრაზილია — საფრანგეთი (21 ივნისს — გვადალახარაში), გფრ — მექსიკა (21 ივნისს — მონტერეიში), ესპანეთი — ბელგია (22 ივნისს — პუებლაში), არგენტინა — ინგლისი (22 ივნისს — მეხიკოში). ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 25 ივნისს (გვადალახარასა და მეხიკოში), მესამე ადგილისათვის შეხვედრა — 28 ივნისს (პუებლაში). ფინალური მატჩი — 29 ივნისს (მეხიკოში).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საწყისი ეტაპის ჯგუფურ ტურნირებში 6 გამარჯვებულიდან მეოთხედფინალში გავიდა მხოლოდ სამი გუნდი (ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა და, როგორც ხედავთ, სამივე ლათინური ამერიკის ფეხბურთის წარმომადგენელია). დანარჩენ მეოთხედფინალისტთაგან ოთხნი ჯგუფურ ტურნირებში მეორე ადგილებზე გავიდნენ (საფრანგეთი, გფრ, ესპანეთი, ინგლისი), ხოლო ერთი — მესამეზე (ბელგია).

ახლა კი ბოლო ორი მერვედფინალური მატჩის შედეგებზე გვესაუბრება სპორტის დამსახურებული ოსტატი **სერგო კოტრიკაძე.**

— მაშ ასე, მერვედფინალურმა მატჩებმა ფიფას თასის მაძიებელთა რაოდენობა კიდევ გაანახევრა. მეოთხედფინალის გზა გაიკაფა ევროპის ხუთმა და ლათინური ამერიკის სამმა წარმომადგენელმა. ერთი შეხედვით, ეს შეფარდება ბუნებრივია და რეალურად ასახავს თითოეულის ხვედრით წონასა და ადგილს დღევანდელ საფეხბურთო ცხოვრებაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სამი კვირის წინათ, ჩემპიონატის სტარტზე ეს შეფარდება რამდენადმე განსხვავებული იყო: ევროპული ფეხბურთი ფინალის 14 საგზურს ფლობდა, სამხრეთ ამერიკული ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკულთან ერთად მხოლოდ ხუთს. ასე, რომ, ახლა ევროპული ფეხბურთის დანაკლისი უფრო დიდია, ვიდრე ამერიკულისა.

კიდევ ერთი ექსკურსი არცთუ დიდი ხნის წარსულში. ფინალისტთა კენჭისყრის წინ 24 გუნდიანების მიხედვით ოთხ ექვსეულად დაყვეს იმ მოსაზრებით, რომ შემდეგ ფავორიტები სხვადასხვა ჯგუფში გაენაწილებინთ. მაშინ, პირველ — უძლიერესთა ექვსეულში შეიყვანეს წინა ჩემპიონატის ნახევარფინალისტები (იტალია, გფრ, პოლონეთი, საფრანგეთი), აგრეთვე ბრაზილიისა და მექსიკის გუნდები. დღეს შეიძლება ითქვას, რომ გუნდების ამ ჯგუფიდან მხოლოდ პოლონეთის ნაკრებმა ვერ შეძლო თავისი დიდი რეპუტაციის დაფასტურება.

ახლა ბოლო მერვედფინალური მატჩების შესახებ: პარაგვაელებთან ინგლისელთა გამარჯვება კანონზომიერ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, პარაგვაელებმა დაუმარცხებლად განვლეს ჯგუფური ტურნირი (მოგება ეროპაელებთან — 1:0, ფრედ დამთავრებული მატჩები მექსიკელებთან — 1:1 და ბელგიელებთან — 2:2), მაგრამ უფრო დიდი წარმატების საფუძველი მათ მაინც არ უნდა ჰქონოდათ. ინგლისელებმა კი, რომელთაც ჩემპიონატი წაგებით დაიწყეს (პორტუგალიელებთან — 0:1), შემდეგ არსებითად გამოასწორეს მდგომარეობა (გავიხსენთ მათი დამაჯერებელი გამარჯვება პოლონელებთან) და ამიტომ პარაგვაელებთან მათი წარმატება (3:0) არავის გაუკვირდებოდა.

დანიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრამ კი იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ დავდასტუროთ, თუ რამდენად ამოუცნობია და განუჭვრეტავი ფეხბურთი! მას შემდეგ, რაც დანიელებმა დამაჯერებლად იასპარეზეს ჯგუფურ ტურნირში (პოტლანდიელებთან — 1:0, ურუგვაელებთან — 6:1, დასავლეთ გერმანელებთან — 2:0), ისინი ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად მიიჩნიეს. ისიც უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ბრაზილიელებთან დასანანი წაგებისა, ესპანელთა წარმატების შანსებიც დიდი იყო. და მაინც, უმეტესობას მიაჩნდა, რომ დანიელები ესპანელებს დაამარცხებდნენ. და აი, დანიელებთან ესპანელების გამარჯვება მოწმენდილ ცაზე მეხივით გაისმა — 5:1. ასე დაიმსხვრა ელიკაიარისა და ლაუდრუპის გუნდის ოცნებები.

მსოფლიო ჩემპიონატმა ორდღიანი ტაიმ-აუტი აიღო იმისათვის, რომ შაბათსა და კვირას კვლავ მიიპყროს ჩვენი ყურადღება, ამჯერად უკვე მეოთხედფინალური ეტაპის მატჩებით.

საბურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: „კუზბასი“-„გურია“ — 0:0, ბათუმის „დინამო“-„პამირი“ — 1:2, ხაბაროვსკის ასკ-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 1:4, „ისკრა“-„ნისტრუ“ — 3:1, „შინიკი“-ასკ „კარპატი“— 0:0, „კოტაიკი“